

ურთიერთგაგების მემორანდუმი

ქ. თბილისი

11 სექტემბერი 2013 წ.

ერთის მხრივ, საქართველოს მთავრობა (შემდგომში წოდებული, როგორც „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის კახა კალაძის სახით;

მეორეს მხრივ, სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორი“ (შემდგომში წოდებული, როგორც „ესკო“), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ირინა მილორაძის სახით;

მესამე მხრივ, შპს „ჰიდროლუა“ საიდენტიფიკაციო კოდი: 406073029 (შემდგომში წოდებული, როგორც: „კომპანია“) წარმოდგენილი მისი დირექტორის დალი მიქუჩაძის სახით.

მეოთხე მხრივ, შპს „გეოენერჯი“ - საიდენტიფიკაციო კოდი: 406062353 (შემდგომში წოდებული, როგორც: „საპროექტო კომპანია 1“) წარმოდგენილი მისი დირექტორის დალი მიქუჩაძის სახით.

მეხუთე მხრივ, შპს „ჰიდრო ჯორჯია“ - საიდენტიფიკაციო კოდი: 404943941 (შემდგომში წოდებული, როგორც: „საპროექტო კომპანია 2“) წარმოდგენილი მისი დირექტორის დალი მიქუჩაძის სახით.

მეექვსე მხრივ, შპს „სტორი ფაუერი“ - საიდენტიფიკაციო კოდი: 406073421 (შემდგომში წოდებული, როგორც: „საპროექტო კომპანია 3“) წარმოდგენილი მისი დირექტორის დალი მიქუჩაძის სახით.

ვინაიდან, „კომპანია“ „საპროექტო კომპანია 1“-თან ერთობლივად ახორციელებს ჰიდროელექტროსადგურის (ახმეტა ჰესი) მშენებლობას საქართველოში მდ. ალაზნის და მდ. ილტოს საირიგაციო სისტემაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ „კომპანია“ „საპროექტო კომპანია 2“-თან ერთობლივად გეგმავს ჰიდროელექტროსადგურის (დებედა ჰესი მშენებლობას საქართველოში მდ. დებედას საირიგაციო სისტემაზე,

გამომდინარე იქედან, რომ „კომპანია“ „საპროექტო კომპანია 3“-თან ერთობლივად გეგმავს ჰიდროელექტროსადგურის (ფშაველა ჰესი) მშენებლობას საქართველოში მდ. სტორის საირიგაციო სისტემაზე,

მხარეები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დებენ წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმს (შემდგომში წოდებული, როგორც: „მემორანდუმი“) შემდეგზე:

1. მიზანი

1.1 მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს მხარეთა შორის წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრული ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის პირობების და ვადების დადგენა.

2. მხარეთა ვალდებულებები

- 2.1 „კომპანია“ „საპროექტო კომპანია 1“-თან ერთად მემორანდუმით განსაზღვრულ ახმეტა ჰესის ნაწილში, „საპროექტო კომპანია 2“-თან ერთად მემორანდუმით განსაზღვრულ დებედა ჰესის ნაწილში და „საპროექტო კომპანია 3“-თან ერთად მემორანდუმით განსაზღვრულ ფშაველა ჰესის ნაწილში იღებენ ვალდებულებას ამავე მუხლით განსაზღვრული ვადებისა და პირობების დაცვით ააშენონ და ექსპლუატაციაში გაუშვან შემდეგი ჰიდროელექტროსადგურები:
- 2.1.1 „კომპანია“ და „საპროექტო კომპანია 1“ - დასახელება: „ახმეტა ჰესი“
- ა) ადგილმდებარეობა: მდ. ალაზანი და მდ. ილტო.
 - ბ) სავარაუდო სიმძლავრე: 9.10 მგვტ.
 - გ) სავარაუდო წლიური გამომუშავება: 43.40 გვტ.სთ.
 - ე) ექსპლუატაციაში გაშვების ვადა: 16.03.2014.
 - ვ) სავარაუდო ინვესტიცია – 9 600 000 აშშ დოლარი.
- 2.1.2 კომპანია და კომპანია საპროექტო კომპანია 2 - დასახელება: „დებედა ჰესი“
- ა) ადგილმდებარეობა: მდ. დებედა.
 - ბ) სავარაუდო სიმძლავრე: 1.90 მგვტ.
 - გ) სავარაუდო წლიური გამომუშავება: 10.50 გვტ.სთ.
 - დ) მშენებლობის დაწყება: 01.10.13.
 - ე) ექსპლუატაციაში გაშვების ვადა: 01.07.2014.
 - ვ) სავარაუდო ინვესტიცია – 2 200 000 აშშ დოლარი.
- 2.1.3 კომპანია და საპროექტო კომპანია 3 - დასახელება: „ფშაველა ჰესი“
- ა) ადგილმდებარეობა: მდ. სტორი.
 - ბ) სავარაუდო სიმძლავრე: 1.90 მგვტ.
 - გ) სავარაუდო წლიური გამომუშავება: 9.50 გვტ.სთ.
 - დ) მშენებლობის დაწყება: 01.10.13.
 - ე) ექსპლუატაციაში გაშვების ვადა: 01.07.2014.
 - ვ) სავარაუდო ინვესტიცია – 2 200 000 აშშ დოლარი.
- 2.2 ქვეყნის ელექტრომომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, „კომპანია“ იღებს ვალდებულებას მის მიერ წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში აშენებული თითოეული ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციაში გაშვებიდან 8 წლის განმავლობაში, თითოეული წლის სექტემბრის, ოქტომბრის, ნოემბრის, დეკემბრის, იანვრის, თებერვლის, მარტის და აპრილის თვეებში შესაბამისი ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის სრული ოდენობის რეალიზაცია (ელექტროენერჯის ბალანსის შესაბამისად) განხორციელდება მხოლოდ „ესკოზე“, რაც აისახება შესაბამისი წლის ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსში, ან სხვა ანალოგიური ხასიათის დოკუმენტში.
- 2.3 წინამდებარე მემორანდუმის 2.2 პუნქტის მიზნებისთვის, ელექტროენერჯის რეალიზაცია „ესკო“-სთან განხორციელდება წინასწარ ხელმოწერილი, ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით, რომელშიც ელექტროენერჯის ფასი განისაზღვრება 1კვ/სთ - 5.54 აშშ ცენტის ოდენობით.
- 2.4 მთავრობა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, „კომპანიის“ მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოფს მისთვის სათანადო დახმარებას ამ უკანასკნელის მიერ პროექტის

განხორციელებისათვის საჭირო, ნებართვების, დოკუმენტაციისა და ინფორმაციის მოპოვებაში.

2.5 პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს (მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს) სრულად გაიღებს კომპანია.

3. დამატებითი პირობები

3.1 კომპანიის მიერ მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მთავრობა უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით მოახდინოს მემორანდუმის ვადაზე ადრე შეწყვეტა.

3.2 წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

3.3 წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში წარმოშობილი ნებისმიერ დავა განხილულ იქნება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3.4 წინამდებარე მემორანდუმი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მემორანდუმით გაუთვალისწინებელი სამართალური თიერთობა განხილულ იქნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3.5 წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია 6 თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ ენაზე.

4. მხარეთა ხელმოწერები

საქართველოს მთავრობა

კახა კალაძე _____

სს „ელექტრონული ტექნოლოგიის სისტემის კომერციულ ოპერატორი“

ირინა მილორავა _____

შპს „ჰიდროლოცა“

დალი მიქუჩაძე _____

შპს „გეოენერჯი“

დალი მიქუჩაძე _____

შპს „ჰიდრო ჯორჯია“

დალი მიქუჩაძე _____

შპს „სტორი ფაუერი“

დალი მიქუჩაძე _____